

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები

მდინარე აჭარისწყალზე შუახევი ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე

1 ივლისი, 2013 წ.

1. პროექტის შესახებ

ნორვეგიული კომპანია „კლინ ენერჯი ინვესტის“ (Clean Energy Invest, CEI) შვილობილი კომპანია შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ (Adjaristsqali Georgia LLC, AGL) გეგმავს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მდ. აჭარისწყალზე სამსაფეხურიანი ჰესების კასკადის მოწყობას, რომლის შემადგენლობაშიც შედის შუახევი ჰესი (185 მგვტ), კორომხეთი ჰესი (150 მგვტ) და ხერთვისი ჰესი (65 მგვტ). წარმოდგენილი სქემიდან კომპანიამ მოამზადა შუახევი ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და მიმდინარე წლის 10 ივნისს წარუდგინა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მისაღებად.

მწვანე ალტერნატივას წინამდებარე შენიშვნები მომზადებულია სწორედ მდ. აჭარისწყალზე შუახევი ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშზე, ასევე, ანგარიშს თანდართულ „ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმასა“ და „ტექნიკურ რეზიუმეზე“.

შუახევის ჰესის პროექტი ითვალისწინებს 22 მეტრის სიმაღლის სხალთის კაშხლის (წყალსაცავი 19.4 ჰექტარი), 39 მეტრი სიმაღლის დიდაჭარის კაშხლისა (წყალსაცავი 16.9 ჰექტარი) და თითო დამზის მოწყობას მდ. აჭარისწყალზე, მდ. სხალთასა და მდ. ჩირუხისწყალზე. დერივაცია დაგეგმილია სადერივაციო გვირაბების საშუალებით (მოეწყობა სამი გვირაბი: 5.8 კმ, 9.1 კმ და 17.8 კმ სიგრძის), ხოლო ძალოვანი კვანძების განთავსება იგეგმება სხალთის წყალსაცავის ზედა ბიეფსა (9.8 მგვტ) და შუახევის სიახლოვეს მდ. აჭარისწყლისა და ჭვანისწყლის შესართავის ზემო წელში (175 მგვტ).

2. გზშ ანგარიშის ხარისხი

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი გზშ ანგარიში, საერთო ჯამში, შედარებით უკეთესი ხარისხისაა, ვიდრე ჩვეულებრივ, ამ დრომდე საქართველოში მომზადებული ანგარიშები. თუმცა ამ ანგარიშში ვხვდებით „გამას“ და სხვა ქართული საკონსულტაციო ორგანიზაციების სახელით მომზადებული გზშ-ანგარიშებიდან კოპირებულ ვრცელ ადგილებს, მათ შორის, შეცდომებსაც. წინა ხელისუფლების პირობებში, მათ არ ექცეოდათ ხშირად ყურადღება, ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც ადგილი ჰქონდა კანონმდებლობასთან შეუსაბამობას. ამ შეცდომების ნაწილი გავლენას ახდენს განსახილველი დოკუმენტის საერთო ხარისხზე, თუმცა, არსებითად არ მოქმედებს საკუთრივ გარემოზე ზემოქმედების შეფასებაზე. ასეთებია, მაგალითად:

გვ. 15. ცხრილი 2.1. გარემოსდაცვითი კანონმდებლობა. საქართველოს გარემოსდაცვითი კანონების ნუსხა. - მითითებულია „მიღების წელი - 1996 დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ (შესწ. 2003,

2004, 2005, 2006, 2007). „მიღების წელი -1999 საქართველოს ტყის კოდექსი (შესწ. 2000 2001, 2003, 2005, 2006)“ ამგვარად აღნიშვნა არ არის სწორი, თუნდაც იმის გამო, რომ აღნიშნულ კანონებში კიდევ ბევრი შესწორება მითითებული. შესაძლოა, ეს არ არის არსებითი, თუმცა, ზუსტად ეს შეცდომები წლიდან წლამდე მეორდება სხვადასხვა გზმ ანგარიშებში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ გარკვეულწილად, გრძელდება წინა ხელისუფლების დროს დამკვირდებული ტრადიცია, რომლის თანახმადაც, გზმ ფორმალურ, ბიუროკრატიულ პროცედურად იყო აღქმული და არა საქმიანობის განმახორციელებლისა და გადაწყვეტილების მიმღების დამხმარე ინსტრუმენტად.

ასევე, თვალშისაცემია შინაარსით ანალოგიური თავები „5.2.1.3. ფლორისა და მცენარეულობის აღწერისა და ეკოსისტემებზე და ჰაბიტატებზე პროექტის ზემოქმედების განსაზღვრის ზოგიერთი მეთოდოლოგიური და კონცეპტუალური მიდგომის შესახებ“, და „5.2.1.8. მშენებლობისა და ოპერირების ფაზის უარყოფითი ზემოქმედების შეფასების და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მეთოდოლოგია“, რომელიც სიტყვასიტყვით მეორდება არაერთ გზმ ანგარიშში (მაგ. შავი ზღვის ელექტროგადამცემის პროექტის, ლარსი ჰესის, ყაზბეგი ჰესის გზმ ანგარიშებში). ამასთანავე, ამ თავებში აღწერილი ეკო-კომპენსაციის მიდგომა არ არის გამოყენებული გზმ-ს შემდგომ ნაწილებში და არც ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმაში. როგორც წესი, სხვა გზმ ანგარიშების შემთხვევაშიც, არც პროექტის ავტორები იღებენ ვალდებულებას, რომ ეკო-კომპენსაციისათვის გამოიყენებენ ჰაბიტატ-ჰექტრულ მიდგომას და არც გარემოს დაცვის სამინისტრო მოითხოვს ამ მიდგომის გამოყენებას ნებართვის პირობებში. ეს ხარვეზი უკვე არ შეიძლება განხილული იქნეს, როგორც „მსუბუქი“ დარღვევა.

ასევე, ამ დოკუმენტში, ისევე როგორც არაერთ გზმ ანგარიშში, რამდენჯერმე მეორდება „კანონი ველური ცოცხალი ბუნების შესახებ (1996)“. სინამდვილეში, უნდა იყოს „კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ“, რომელსაც ინგლისურად ჰქვია „Law on Wildlife“. ამ შეცდომის შესახებაც, არაერთხელ მიგვითითებია, მათ შორის, „გამას“ მიერ მომზადებული დოკუმენტების შემთხვევაში, თუმცა, ავტორები არ ითვალისწინებენ და უცვლელად გადააქვთ მორიგ გზმ ანგარიშში.

როგორც გზმ ანგარიშში, ისე ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმაში, ინგლისურიდან ქართულად თარგმნის დროს დაშვებულია შეცდომები. ზოგ შემთხვევაში, აზრი გასაგებია, ვინაიდან მითითებულია ლათინური სახელწოდებაც - მაგალითად „ოქროს არწივი (Aquila chrysaetos)“ - უნდა იყოს „მთის არწივი“ და ა.შ. ზოგ შემთხვევაში, შეუძლებელია გარკვევა, თუ რომელ სახეობაზეა საუბარი, შესაბამისად, ძნელია პროექტის რეალური ზემოქმედების დადგენა, მაგალითად: გზმ ანგარიშის გვ. 349, 354 - მითითებულია სახეობა ჩვეულებრივი გარეული დათვი. ასეთი ცხოველი ბუნებაში არ არსებობს (იქვე ცალკეა სავსებით სწორად - „მურა დათვი“). შესაძლებელია, უნდა იყოს გარეული ღორი (Sus scrofa) - ინგლისურად Wild boar.

ასევე, გზმ პროცესისათვის ნაკლებად მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს ქვემოთ ჩამოთვლილი ზოგიერთი ისეთი შეცდომა, რომელიც წლიდან წლამდე გადადის ერთი გზმ ანგარიშიდან, მეორეში:

- საქართველოს მთავრობის მიერ ხელმოწერილი მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონვენციებისა და მრავალმხრივი ხელშეკრულებების სიაში შეტანილია „ევროკავშირის დირექტივა ჰაბიტატების შესახებ (European Union Habitats Directives 1992);
- მოხსენიებულია, რომ კავკასია შედის მსოფლიოს ბიომრავალფეროვნების 25 ცხელ წერილში. სინამდვილეში, 2004 წლიდან ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილების რაოდენობა 25-დან 34-მდე გაიზარდა. მათგან, საქართველოს ტერიტორია შედის ორის - კავკასიისა და ირან-ანატოლიის - ცხელი წერილების შემადგენლობაში.

საქართველოს გარემოსდაცვითი სტანდარტების ჩამონათვალში (თავი 2.2.), არ არის მოხსენიებული საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 13 ნოემბრის N745

ბრძანება „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების შესახებ“; შესაბამისად, გზმ ანგარიშის ავტორები არც ხელმძღვანელობენ ამ მნიშვნელოვანი აქტივით საქმიანობის დაგეგმვისას. ეს შეცდომა, რომელიც ასევე ხშირად მეორდება არაერთ გზმ ანგარიშში, უკვე არსებითი ხასიათისაა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ანგარიშში გამოყენებული წყაროები ან არ არის მითითებული, ან მითითებულია, მაგრამ არ არის დაცული ციტირების წესი. არ ახლავს გამოყენებული წყაროების ნუსხა. ყოველივე ზემოაღნიშნული, კლასიკური გაგებით, წარმოადგენს პლაგიატს, ხოლო პრაქტიკული თვალსაზრისით, შეუძლებელს ხდის, გადამოწმდეს ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემების სიზუსტე და დაშვებების მართებულობა.

3. პროექტის განხორციელების საჭიროების საკითხი

პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთების მიზნით, ანგარიშში წარმოდგენილია შემდეგი ქვეთავები: 4.1.2 „ეკონომიკური ასპექტები“; 4.1.3 „ჰიდროელექტროენერგია საქართველოში“, 4.1.4 „სოციალურ ეკონომიკური/გარემოსდაცვითი ასპექტები“ და 4.1.5 „საბაზრო ასპექტები“. ამ ქვეთავებში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, გაკეთებულია დასკვნა, რომ „პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანი იქნება აჭარის რეგიონის და საქართველოს ელექტროენერჯის მომხმარებლებისთვის“ და ამასთან, „საკითხი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სტრატეგიული თვალსაზრისით, რადგან ქვეყანაში არსებული ჰიდრორესურსების პოტენციალის ათვისება არამარტო მიახლოებს საქართველოს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობასთან, არამედ საშუალებას მისცემს, დაიკავოს ადგილი საქართველოს სამხრეთ მეზობლების მზარდ ბაზარზე და გაამყაროს როგორც ექსპორტიორი ქვეყნის პოზიციები“. ქვემოთ განვიხილავთ თითოეულ ზემოაღნიშნულ ქვეთავს:

გზმ ანგარიშის ქვეთავი 4.1.2 „ეკონომიკური ასპექტები“

აღნიშნული ქვეთავი უნდა ემდგნებოდეს პროექტის ეკონომიკურ ასპექტებს, თუმცა, რეალურად, მკითხველისთვის სრულიად ბუნდოვანი რჩება, რისი დასაბუთება სურთ ანგარიშის ავტორებს ამ ქვეთავში წარმოდგენილი ინფორმაციით.

პირველი პარაგრაფი ემდგნება საქართველოში ელექტროენერგიაზე მოთხოვნისა და ელექტროენერჯის გამომუშავების საკითხებს და ჰიდრორესურსების წილს ელექტროენერგეტიკაში მხოლოდ 2010 წლისთვის; შედეგად, გამოტანილია დასკვნა, რომ 2011 წელს იმპორტირებული ელექტროენერგია იყო „შედარებით უფრო მეტი, ხოლო თბოელექტროსადგურებმა ნაკლები ელექტროენერგია გამოიმუშავეს“. გაურკვეველია, რისი თქმა სურთ ანგარიშის ავტორებს მხოლოდ 2010 წლის დახასიათებით და რა კავშირშია აღნიშნული ინფორმაცია ამ ქვეთავში წარმოდგენილ სხვა ინფორმაციასთან.

მეორე პარაგრაფში დახასიათებულია ზოგადად საქართველოს ენერჯის სექტორის ის თავისებურება, რომელიც დაკავშირებულია ჰიდრორესურსების არსებობასთან, როცა ზაფხულში ხდება უფრო მეტი გამომუშავება და ზამთარში ნაკლების, რომელიც სრულდება დასკვნით, რომ „საქართველოს ჰესებს (გარდა ენგურჰესისა) გააჩნიათ შეზღუდული მოცულობის წყალსაცავები, რომელთაც არ შეუძლიათ წყლის დაგროვება მშრალი სეზონისთვის მარაგის შექმნის მიზნით. უფრო მეტიც წყლის შეზღუდული მოცულობის დაგროვება და ექსპორტის მასშტაბები ვერ უშლის ხელს წყლის მნიშვნელოვანი რაოდენობის დაღვრას წყალუხვი წლების ზაფხულის თვეებში, როდესაც მდინარეთა დინებები მაქსიმალურია“. აღნიშნული განცხადებიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ ანგარიშის ავტორებს საუკეთესო გამოსავლად მიაჩნიათ დიდი წყალსაცავიანი ჰესების მშენებლობა, თუმცა, რა კავშირი აქვს აღნიშნულს წარმოდგენილ პროექტთან, გაუგებარია. გაუგებარია ასევე ისიც, თუ რას გულისხმობენ ანგარიშის ავტორები წყალსაცავების შეზღუდულ მოცულობაში, ვინაიდან წყალსაცავების შეზღუდული მოცულობა საქართველოს რეალობაში დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ არსებული

რეზერვუარების, პრაქტიკულად, აბსოლუტური უმრავლესობა ნატანითაა ამოვსებული, შესაბამისად, შეზღუდულია ამ რეზერვუარების სასარგებლო მოცულობა. თუმცა, თუ ანგარიშის ავტორებს ეს ჰქონდათ მხედველობაში, მაშინ გაუგებარია, პროექტის ერთ-ერთ ალტერნატივად რატომ არ იქნა განხილული არსებული რეზერვუარების და შესაბამისად, არსებული ჰესების რეაბილიტაცია, რაც სწორედ, რეზერვუარების ნატანისაგან გაწმენდას გულისხმობს, მათ ტექნიკურ გადაიარაღებასთან ერთად.

შემდეგი პარაგრაფი კი, უკვე ეძღვნება საქართველოში არსებულ გაზის ტურბინიან ელექტროსადგურებს და გაკეთებულია დაშვება, რომ „*გაზის მიწოდების შეღავათიანი ხელშეკრულებები აზერბაიჯანთან უზრუნველყოფს საწვავზე ფასს დაახლოებით 100 აშშ დოლარი/ტონდენობით თითო კუბურ მეტრზე, თუმცა მოსალოდნელია, რომ კონტრაქტის თაობაზე ხელახალი მოლაპარაკებების დროს 2014 წელს ფასი გაიზარდოს*“. შესაბამისად, ანგარიშის ავტორები ასკვნის, რომ ჰესების მიერ გამომუშავებული ენერჯის ფასთან შედარებით, გაზის ტურბინები კონკურენტუნარიანი არ უნდა იყოს. აბსოლუტურად გაუგებარია, რა ინფორმაციაზე დაყრდნობით აკეთებენ ანგარიშის ავტორები ასეთ საეჭვო დაშვებას გაზის ფასების შესაძლო ზრდასთან დაკავშირებით, როდესაც ენერგეტიკის სამინისტროს თანამშრომლების მიერ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2030 წლამდე აზერბაიჯანთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, გაზზე ფასები არ გადაიხედება.

გაუგებარია მომდევნო პარაგრაფიც - „*საქართველოს სახელმწიფო ენერჯო პოლიტიკა მიზნად ისახავს თავი დააღწიოს დამოკიდებულებას იმპორტზე და იმპორტირებული ენერჯომატარებლების გამოყენებით თერმული ენერჯის გამომუშავებაზე, ამასთანავე ნაცვლად აღნიშნული წყაროებისა ისარგებლოს ქვეყნის ჰიდრორესურსების უკეთ ათვისების ხარჯზე, ექსპორტის გაზრდის შესაძლებლობით*“. პირველ რიგში, გაუგებარია რომელ სახელმწიფო ენერჯო პოლიტიკაზე საუბრობენ ანგარიშის ავტორები. თუ აქ იგულისხმება 2006 წელს დამტკიცებული „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“, მაშინ კარგი იქნებოდა არ მოეხდინათ ანგარიშის ავტორებს მისი ინტერპრეტაცია და გადმოეცათ ზუსტად. კერძოდ, აღნიშნული პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა „*საკუთარი ჰიდრორესურსებით ელექტროენერჯიაზე ქვეყანაში არსებული მოთხოვნის სრული დაკმაყოფილება*“ და უფრო გრძელვადიანი ამოცანაა „*საქართველო ენერგეტიკული რესურსების იმპორტიორი ქვეყნიდან თანდათანობით უნდა იქცეს მაღალი ტექნიკურ ეკონომიკური მახასიათებლების მქონე, მდგრადი, კონკურენტუნარიანი და მოქნილი, დამოუკიდებელი ენერგეტიკული შესაძლებლობების სახელმწიფოდ*“. შესაბამისად, წარმოდგენილი ინტერპრეტაცია არ შეესაბამება სინამდვილეს, რომ არაფერი ვთქვათ იმ ფაქტზე, რომ თავად ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს სახელმწიფო ენერჯო-პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტს და საქართველოში, 2001 წლის შემდეგ, არათუ სახელმწიფო ენერჯო-პოლიტიკა, ენერჯო-ბალანსიც კი არ გაკეთებულა. განსახილველი პროექტის მიზნები (ელექტროენერჯის ექსპორტი თურქეთში) კი წინამდებარეობაში მოდის 2006 წელს დამტკიცებული „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ ზემოხსენებულ ამოცანასთან (ქვეყნის ენერჯოდამოუკიდებლობა). ამასთანავე, მოქმედი სამთავრობო პროგრამის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, მთავრობის პრიორიტეტია სოფლის მეურნეობის განვითარება და გარემოს დაცვა, ხოლო განსახილველი პროექტი ორივე ამ სახელმწიფო პრიორიტეტს ეწინააღმდეგება.

შემდეგ პარაგრაფში შეფასებულია საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი, რომლის თანახმად, ეკონომიკურად მისაღები პოტენციალი განსაზღვრულია 50 გვტ/სთ-მდე, თუმცა, რის საფუძველზე მოხდა აღნიშნული მონაცემის დათვლა, ასევე, შესაბამისი წყარო, ანგარიშში მითითებული არ არის. ამავე პარაგრაფში გაკეთებული დასკვნის თანახმად, „*ოპტიმისტური შეფასებით შემდეგ დეკადაში შიდა მოთხოვნის ზრდა მოხდება წლიურად 3%-ით*“, რაც ანგარიშის ავტორების აზრით, აშკარას ხდის ელექტროენერჯის ექსპორტის აუცილებლობას. პირველ რიგში, ამ

შევანე ალტერნატივას შენიშვნები მდინარე აჭარისწყალზე შუახევი ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე; 1 ივლისი, 2013 წ.

შემთხვევაშიც, გაურკვეველია, რის საფუძველზეა გაკეთებული ე.წ. ოპტიმისტური გათვლა, როცა ქვეყანაში არავის გაუკეთებია ენერგო-ბალანსი, რომელშიც მოცემული იქნებოდა საპროგნოზო მაჩვენებელი. ასეთი პროგნოზი, ასევე, ექვეყნეშ აყენებს პროექტის საჭიროებას, ვინაიდან ნათელს ხდის, რომ აჭარისწყალის ჰიდრორესურსის ათვისება საქართველოს კი არა, თურქეთის ინტერესშია.

ქვეთავის ბოლოს წინა პარაგრაფში ზოგადადა შეფასებული პროექტის მაკროეკონომიკური ზემოქმედება საქართველოს უარყოფით სავაჭრო ბალანსსა და მშპ-ზე. მეტი თვალსაჩინოებისთვის, კარგი იქნებოდა ანგარიშის ავტორებს კონკრეტული გაანგარიშებები წარმოედგინათ, რათა თვალსაჩინო გამხდარიყო აღნიშნული „დადებითი“ ეფექტი.

ბოლო პარაგრაფში მოკლედ და დახასიათებული სხვა ალტერნატიული წყაროების პოტენციალი; კერძოდ, ქარის პოტენციალი შეფასებულია 1500 მგვტ-ად, ხოლო მზის ენერგია მხოლოდ 108 მგვტ-ად. ანგარიშში არ არის მითითებული წარმოდგენილი ინფორმაციის წყარო. რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი (პროექტის ავტორებისგან მიღებული), მხოლოდ ერთი დაგეგმილი (კახეთის რეგიონში, გარეჯის უდაბნოს ტერიტორია, გადამცემი ხაზის სიახლოვეს) მზის ელექტროსადგურის სიმძლავრე გათვლილია 110 მგვტ სიმძლავრეზე.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეთავში წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის გამყარებული შესაბამისი წყაროებით და ძირითადად, ეყრდნობა საკმაოდ საეჭვო გათვლებს. რაც შეეხება პროექტის ეკონომიკურ სარგებლიანობას, ეს საკითხი, შეიძლება ითქვას, საერთოდ არ არის განხილული ამ ქვეთავში.

გზმ ანგარიშის ქვეთავი 4.1.3 ჰიდროელექტროენერგია საქართველოში

ამ ქვეთავში ზოგადადა დახასიათებული საქართველოს ჰიდროელექტროენერგეტიკის სექტორი და გაკეთებულია დასკვნა, რომ „ქვეყანაში ელექტროენერგიის გამომუშავების მთლიანად ჰიდრორესურსებზე გადასვლის მიღწევა შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში თუ გაიზრდება სამარაგო რეზერვუარების (წყალსაცავების) მოცულობა“. იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი პროექტი არ გულისხმობს დიდი სამარაგო რეზერვუარების მოწყობას, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ პროექტი არ წარმოადგენს საუკეთესო გამოსავალს საქართველოს ელექტროენერგო სექტორისთვის. უფრო მეტიც, საუკეთესო ალტერნატივა, ამ შემთხვევაში, იქნებოდა საქართველოში არსებული რეზერვუარების ნატანისგან გასუფთავება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდიდა ელექტროენერგიის გამომუშავებას არსებულ ჰესებზე და გაახანგძლივებდა მათი სიცოცხლის ხანგრძლივობას.

გზმ ანგარიშის ქვეთავი 4.1.4 სოციალ-ეკონომიკური/გარემოსდაცვითი ასპექტები

ანგარიშის თანახმად, „პროექტი საქართველოსთვის იქნება მრავალმხრივ სასარგებლო“, კერძოდ, საქართველოსთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, კომპანია საქართველოს ენერგოსისტემას წელიწადში 3 თვის განმავლობაში (იანვარი-მარტი) მიაწვდის ელექტროენერგიას, ხოლო დანარჩენი 9 თვე ექსპორტზე იმუშავებს. ამასთან, პროექტი ყოველწლიურად ადგილობრივ ბიუჯეტში შეიტანს ქონების ღირებულების გადასახადს 1%-ის ოდენობით, „ზუსტი ციფრი ჯერ არ არის განსაზღვრული, მაგრამ ვფიქრობთ, რომ იგი 1-3 მლნ აშშ დოლარის ფარგლებში იქნება წელიწადში“. გარდა ამისა, „პროექტი ვალდებული იქნება გადაიხადოს კორპორაციული გადასახადი, რომელიც ამჟამად განსაზღვრულია შემოსავლების 15%-ის ოდენობით. რეგიონი სარგებელს ნახავს მშენებლობის ფაზაზე დროებით დასაქმების შესაძლებლობების სახით“.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობასა და ნორვეგიულ კომპანია „ქლინ ენერჯი ინვესტს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება, მსგავს ხელშეკრულებათაგან, ერთადერთია,

რომელიც შეიცავს ბევრ კონფიდენციალურ მუხლს; საზოგადოებისთვის საინტერესო ისეთი საკითხები, როგორცაა, მაგალითად, ელექტროენერჯის ტარიფები ან ზოგადად, პროექტის ეკონომიკურ სარგებლიანობა, საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის. შესაბამისად, წლის განმავლობაში 3 თვის მანძილზე საქართველოს ენერჯის სისტემისთვის ელექტროენერჯის მიწოდების ცალსახად სასარგებლოდ განხილვა, რბილად რომ ვთქვათ, არ არის მართებული, საქართველოში არსებული სხვა ჰესების პროექტებზე დადებული მემორანდუმებისა თუ ხელშეკრულებებში წინასწარ განსაზღვრული ტარიფების გათვალისწინებით. კიდევ უფრო ბუნდოვანია ის სარგებელი, რასაც საქართველო ელექტროენერჯის ექსპორტიდან დეზულობს, ვინაიდან ექსპორტიდან საქართველო ვერანაირ შემოსავალს სახელმწიფო ბიუჯეტში ვერ მიიღებს. რაც შეეხება ქონების გადასახადს, ეს სარგებელი იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელია მისი განხილვა გარემოსთვის მიყენებული და სოციალური ზიანის საპირწონედ, რაც პროექტის განხორციელების შემთხვევაში მიადგება რეგიონს. იგივე შეიძლება ითქვას დაბალკვალიფიციურ დროებით სამუშაო ადგილებზე, ვინაიდან იმ შემთხვევაშიც კი, თუ დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა ადგილობრივი მოსახლე იქნება (რაც საქართველოს რეალობაში არ გვხვდება) აღნიშნული სარგებლის განხილვა შეუძლებელია მიყენებული ზიანის საპირწონედ.

რაც შეეხება 15%-იან კორპორატიულ გადასახადს, გაურკვეველია, რა იგულისხმება აღნიშნულ გადასახადში - მოქმედი საგადასახადო კოდექსი მსგავსი ტიპის გადასახადს არ ცნობს.

გზმ ანგარიშის ქვეთავი 4.1.5 საბაზრო ასპექტები

აღნიშნულ ქვეთავში აღწერილია, ზოგადად, საქართველოსა და თურქეთის ენერჯო-სექტორი. ანგარიშის მიხედვით, საქართველოში 2008 წლამდე აგებულ ჰესებს „გააჩნიათ დარეგულირებული ტარიფები, მაშინ როდესაც ახალშენებული ჰესები თვითნებურად დაწესებულ ფასებს აწყდებიან. ამ ფასებად დენის გაყიდვა შესაძლებელია მომწოდებელთან პირდაპირი კონტრაქტის ან სისტემის ოპერატორის მეშვეობით. „მომდევნო დღის“ ტარიფი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად მერყეობს და ასახავს თბოელექტროსადგურების წილს ენერჯო გამოუმუშავებაში“. რამდენადაც ცნობილია, ახალი ჰესების მშენებლობის პროექტებზე გაფორმებული ხელშეკრულებები პირდაპირ ადგენენ დენის ტარიფებს - რა ფასად უნდა შეისყიდოს საქართველოს ენერჯეტიკული სისტემის კომერციულმა ოპერატორმა ელექტროენერჯია ინვესტორისგან. შესაბამისად, გაურკვეველია, რას გულისხმობენ ანგარიშის ავტორები თვითნებურად დაწესებულ ფასებში. ამას გარდა, გაუგებარია რა კავშირშია წარმოდგენილი ინფორმაცია პროექტის განხორციელების საჭიროების საკითხთან.

გზმ ანგარიშის ქვეთავი 4.1.6 დასკვნა

ზემოაღნიშნული ინფორმაციიდან გამომდინარე, ანგარიშში გაკეთებული დასკვნა, რომ პროექტი მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანი იქნება რეგიონისთვის, რბილად რომ ვთქვათ, არ შეესაბამება სინამდვილეს და შესაბამისად, წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე პროექტის მიზანშეწონილობის დასაბუთება შეუძლებელია, რაც გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას წარმოადგენს. ამასთანავე, არ არის განხილული და დათვლილი ის ზიანი, რომელიც მიადგება სხვადასხვა ეკოსისტემურ სერვისებს პროექტის განხორციელების შედეგად (უზრუნველყოფი სერვისები: სასმელი და სარწყავი წყლით მომარაგება, თევზი, ტყის მერქნული და არამერქნული რესურსები და სხვ. მარეგულირებელი რესურსები - განსაკუთრებით ზღვის სანაპიროს მომარაგება ნატანიო; ჰაბიტატის სერვისები - თევზების მიგრაცია და ა.შ).

„გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფის მიხედვით, „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს „დაგეგმილი საქმიანობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასებას“, გზმ ანგარიშში, მართალია,

ფორმალურად წარმოდგენილია პროექტის ეკონომიკური სარგებელი, თუმცა, წარმოდგენილი ინფორმაცია იმდენად ბუნდოვანი და დაუსაბუთებელია, რომ შეუძლებელია ჩაითვალოს რეალურ არგუმენტად პროექტის სასარგებლოდ.

4. ალტერნატივების ანალიზი

გზმ ანგარიშის ქვეთავი 4.2.1 არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივა

ეს ქვეთავი, პრაქტიკულად, წარმოადგენს მისი წინა ქვეთავის - „პროექტის განხორციელების საჭიროების საკითხი“ - დასკვნას, სადაც ამჯერად მოკლედაა ჩამოთვლილი ადგილობრივ ბიუჯეტში ქონების გადასახადის გადახდასთან და დასაქმებასთან დაკავშირებული „მნიშვნელოვანი დადებითი ასპექტები“. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეთავში მოყვანილი ზოგიერთი მტკიცება წინააღმდეგობაში მოდის წინა თავეებში მოცემულ მტკიცებებთან. კერძოდ, ქვეთავში აღნიშნულია, რომ პროექტის გამო შეიქმნება „მაღალანაზღაურებადი დროებითი და მუდმივი სამუშაო ადგილები“, რაც წინააღმდეგობაში მოდის უკვე შემდეგ წინადადებასთან „როგორც მსგავსი პროექტების პრაქტიკა გვიჩვენებს სამშენებლო სამუშაოებზე საჭირო არაკვალიფიციური მუშახელი აყვანილი იქნება ადგილობრივი მოსახლეობიდან“. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი პროექტების პრაქტიკის მიხედვით, სამწუხაროდ, არაკვალიფიციურ სამუშაო ადგილებზეც კი, ძირითადად, სხვა ქვეყნის მოქალაქეები საქმდებიან, რის ნათელ მაგალითს მდ. ჭოროხზე მიმდინარე პროექტები წარმოადგენს. ადგილობრივების დასაქმების პერსპექტივასთან დაკავშირებული ზემოხსენებული მტკიცების მართებულობაში დაეჭვების საბაზს იძლევა გზმ ანგარიშის შემდეგი ნაწილი, სადაც განხილულია ადგილობრივი მოსახლეობის საფრთხეები: გვ. 279 „ავი/შიდსის ან სხვა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებით მოსახლეობის ჯანმრთელობის პოტენციური რისკები განპირობებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას არა ადგილობრივი მუშახელის დაქირავებით“.

კიდევ ერთი წინააღმდეგობრივი მტკიცება აღნიშნულ ქვეთავში დაკავშირებულია ელექტროენერგიაზე მოთხოვნის სწრაფ ზრდასთან „საქართველოს ეკონომიკა ბოლო წლების განმავლობაში აღმავლობის გზაზე იმყოფება, შესაბამისად, სწრაფად იზრდება ელექტროენერგიაზე შიდა მოხმარების მოთხოვნა“, რაც წინააღმდეგობაში მოდის წინა თავის მტკიცებასთან „ოპტიმისტური შეფასებით შემდეგ დეკადაში შიდა მოთხოვნის ზრდა მოხდება წლიურად 3%-ით“. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არ ჩანს, თუ რის საფუძველზე ამტკიცებენ ამას ანგარიშის ავტორები. თუ ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ მოყვანილ სტატისტიკას გადავხედავთ, 2012 წელს ელექტროენერგიაზე მოთხოვნა შემცირდა 2011 წელთან შედარებით, ხოლო 2013 წლის პირველი კვარტლის მონაცემები კიდევ უფრო შემცირდა, 2012 წლის პირველ კვარტალთან შედარებით.

ანგარიშის ავტორებს ელექტროენერგიის ექსპორტის გაზრდის შესაძლებლობა განხილული აქვთ, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სარგებელი ქვეყნისთვის, თუმცა არ არის დაკონკრეტებული და განხილული, თუ რა ზემოქმედებას იქონიებს ამ ჰესის მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერგიის ექსპორტი საქართველოს უარყოფით სავაჭრო ბალანსზე; თუ ამას დავამატებთ იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო აღნიშნული ელექტროენერგიის ექსპორტიდან რაიმე სახით სარგებელს ვერ მიიღებს, აღნიშნული ეკონომიკური ასპექტი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც უმნიშვნელო სარგებელი ქვეყნისთვის.

ასევე პროექტის გასამართლებლად, ნულოვანი ალტერნატივის შემთხვევაში, არ არის განხილული ეკოსისტემების სერვისების შენარჩუნებით მიღებული ეკონომიკური სარგებელი (იხ. ზევით კომენტარი).

ამრიგად, ანგარიშის ავტორების მტკიცება, რომ პროექტის განუხორციელებლობა შეიძლება ჩაითვალოს „დაკარგულ შესაძლებლობად“, არ არის მართებული, ვინაიდან პროექტის შედეგად მიღებული ზემოთ ჩამოთვლილი სარგებელი არ შეიძლება ჩაითვალოს იმ გამოუსწორებელი ზიანის საპირწონედ, რაც ქვეყანას და რეგიონს მიადგება აღნიშნული პროექტის განხორციელების შემთხვევაში.

გზმ ანგარიშის თავი 4. პროექტის ალტერნატიული ვარიანტების აღწერა და ანალიზი

ანგარიშის ავტორების აზრით, ისეთი განახლებადი ენერჯის წყაროები, როგორცაა მზისა და ქარის ენერჯი არ წარმოადგენენ საქართველოში აღნიშნული პროექტის რეალისტურ ალტერნატივებს და შესაბამისად, მათი განხილვა ზედმეტად მიაჩნიათ. ეს განსახილველად წარმოდგენილი გზმ ანგარიშის მნიშვნელოვან ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში მზიანი დღეების რაოდენობა წელიწადში 200-250 დღეების ფარგლებში მერყეობს, ხოლო მზის ელექტროსადგურების მშენებლობის თვითღირებულება ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა, ამ სექტორში მიღწეული ტექნიკური პროგრესის შედეგად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენს ხელთ არსებული (პროექტის ავტორებისგან მიღებული) ინფორმაციით, მხოლოდ ერთი ასეთი სადგურის სიმძლავრე (კახეთი, საგარეჯოს რ-ნი) 110 მეგავატი, ხოლო 1 კილოვატის შესასყიდი ტარიფი 6-7 ცენტი იქნება.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილ გზმ ანგარიშში არ არის განხილული პროექტის უპირატესი ვარიანტის ტექნიკურად და ფინანსურად შესატყვისი ალტერნატივები და შესაბამისად, წარმოდგენილი უპირატესი ვარიანტის მიზანშეწონილობა არ არის დადგენილი, რაც წინააღმდეგობაში მოდის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გარემოსდაცვით და სოციალური პოლიტიკასთან, ასევე საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

5. ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრა

გზმ ანგარიშში ეკოლოგიური ხარჯის შეფასების და განსაზღვრის საკითხებს ეთმობა ანგარიშის 6.5.10 „ეკოლოგიური ხარჯის შეფასება“ და 6.7 „ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრა“ ქვეთავები.

აღსანიშნავია, რომ ანგარიშის 6.7.1.1 ქვეთავში გაკეთებული დასკვნა ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრასთან დაკავშირებით, წინააღმდეგობაში მოდის ამავე ანგარიშის 6.5.10 ქვეთავთან, კერძოდ, 6.5.10 ქვეთავში, ანგარიშის ავტორები აღნიშნავენ ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრის მნიშვნელობას იმისთვის, რომ მაქსიმალურად შერბილდეს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მიყენებული უარყოფითი ზემოქმედება. მისასალმებელია, რომ ანგარიშის ავტორები საქართველოში გამოყენებულ პრაქტიკას, სანიტარული ხარჯის სახით 10%-ის დატოვებასთან დაკავშირებით, მიიჩნევენ არამიზანშეწონილად. კომპანია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შერბილების მიზნით, გეგმავს მშენებლობის ფაზაზე მონიტორინგის ჩატარებას, ადაპტირებული გარემოსდაცვითი მართვის გეგმის შედგენის მიზნით, რათა განისაზღვროს ეკოლოგიური ხარჯის ის მნიშვნელობა, რომელიც უზრუნველყოფს „ბიოლოგიური გარემოს ნორმალური ცხოველმყოფელობისა და წყალმოსარგებლეების საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო წყლის ოდენობის განსაზღვრას“ და შემდგომ ეკოლოგიური ხარჯის გატარებაზე სისტემატური ზედამხედველობის განხორციელებას.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ანგარიშის 6.7.1.1 ქვეთავში ანგარიშის ავტორები აღნიშნავენ, რომ „ეკოლოგიურ ხარჯად საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ის გამოყენება არის საქართველოში მიღებული პრაქტიკა, რაც გამოყენებული იქნება მოცემული პროექტის შემთხვევაში“.

ამგვარად, გაუგებარია, რაში მდგომარეობს ამავე ქვეთავში მოცემული ეკოლოგიური ხარჯის დადგენის ორ ფაზიანი მიდგომის არსი, თუ ინვესტორი, ნებისმიერ შემთხვევაში, გეგმავს ეკოლოგიური ხარჯის სახით, საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ის დატოვებას.

ამავე ქვეთავში ანგარიშის ავტორები აღნიშნავენ, რომ ფაზა I-ში გამოყენებული იყო ნაშრომი „ბლოკური მეთოდოლოგიის აწყობა“ (Building Block Methodology (BBM) by Tharme and King, 2008), რათა მომხდარიყო წყლის ყველა პოტენციური მომხმარებლის (ირიგაცია, თევზის მეურნეობა, რეკრეაციული ადგილები, ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილები და სხვა) იდენტიფიკაცია. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ BBM წარმოადგენს კომპლექსურ მეთოდოლოგიას, რომლის მიზანია ეკოლოგიური ხარჯის ისეთი ოდენობის დადგენა, რომელიც საკმარისი იქნება მდინარის ეკოსისტემის ყველა კომპონენტის შენარჩუნებისთვის. ეს მეთოდოლოგია, სხვებისგან განსხვავებით, ფოკუსირებას ახდენს არა რამდენიმე წინასწარ შერჩეულ სახეობაზე, არამედ მდინარის ეკოსისტემის ყველა კომპონენტზე. შესაბამისად, გაურკვეველია, რა მიზანს ისახავს ანგარიშში გაკეთებული ეს ჩანაწერი, ვინაიდან წყლის პოტენციური მომხმარებლების იდენტიფიკაცია არ წარმოადგენს ისეთ რთულ საკითხს, რომელსაც სჭირდება მსგავსი მეთოდოლოგიების გამოყენება.

6.7.1.1 ქვეთავის ბოლოს, მოცემულია ცხრილი 6.41, რომელიც ანგარიშის თანახმად, ასახავს საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ით გაანგარიშებული ეკოლოგიური ხარჯების მნიშვნელობებს შუახევის ჰესის ცალკეული წყალმიმღებისათვის. აქვე გაკეთებულია შენიშვნა, რომ საშუალო მრავალწლიური ხარჯების გაანგარიშება მოხდა პროექტში ჩართული კაშხლებისა და სადერივაციო სისტემების რაოდენობების გათვალისწინებით, რომელთა განლაგება არ ემთხვევა ისტორიული ჰიდროპოსტების მდებარეობას. ამის გამო, საჭირო გახდა ხარჯთა სერიების სინთეზირება მრავალ შეთავაზებულ მონაკვეთზე, რომლის გამოსათვლელადაც გამოყენებული იყო დონორი ჰიდროპოსტისა და შერჩეული კაშხლის განთავსების ადგილის წყალშემკრების ფართობის ფაქტორი, რომლის საშუალებითაც გამოითვლება საშუალო მრავალწლიური ხარჯი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, პირველ რიგში, ყურადსაღებია, რომ მოცემულ თავში წარმოდგენილი ერთი ცხრილის გარდა, სადაც მოცემულია უკვე გენერირებული მონაცემები, სხვა ცხრილები, რომელიც ასახავდნენ უწყვეტ ვარიაციულ რიგს, არ არის წარმოდგენილი. ამის გამო, აღნიშნულ ცხრილში მოცემული მონაცემების გადამოწმება შეუძლებელია და შესაბამისად, ამ მონაცემთა სანდოობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. გარდა ამისა, ცხრილში არ არის წარმოდგენილი, თუ რის საფუძველზე მოხდა მონაცემების გაშლა თვეების მიხედვით და არ არის წარმოდგენილი მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯები 10%, 30%, 50% და 90% უზრუნველყოფის პირობებში.

გზმ ანგარიშის მხოლოდ 5.3.8 თავშია მოცემული დამატებით ორი გენერირებული ცხრილი, რომელსაც წყაროდ „გროსენერჯი“ აქვს მითითებული. ცხრილში მოცემულია მდინარის საშუალო თვიური და წლიური მონაცემები, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, უწყვეტი ვარიაციული რიგი წარმოდგენილი არ არის; შესაბამისად, აღნიშნული გენერირებული მონაცემების სანდოობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. არ არის მოცემული ის მეთოდიც, რომლის საშუალებითაც გამოითვალა საშუალო მრავალწლიური ხარჯი.

წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით, 12 თვის განმავლობაში მდინარეში მუდმივად რჩება 10%, რაც საქართველოში დაგეგმილ სხვა ჰიდრო-პროექტების შემთხვევაში, არ გვხვდება; შესაბამისად, ანგარიშის ავტორების მტკიცება, რომ ისინი იყენებენ საქართველოში მიღებულ პრაქტიკას, სანიტარული ხარჯის განსაზღვრასთან დაკავშირებით, არ შეესაბამება სინამდვილეს. უფრო მეტიც, თვით ტენანტის ცხრილის მიხედვითაც კი, რომელსაც თავისთავად გააჩნია უამრავი ნაკლოვანება, როგორც შეფასების ინსტრუმენტს, მდინარეში საშუალო მრავალწლიური ხარჯის მუდმივად 10%-ის დატოვების შემთხვევაში ჰაბიტატის მდგომარეობა იქნება ცუდი ან მინიმალური. აღნიშნულიდან გამომდინარე, ასეთი რაოდენობით წყლის დატოვების შემთხვევაში, დარღვეული იქნება

საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ კანონის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც, „აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოს და საარსებო პირობების გაუარესება“. ამდენად, წარმოდგენილი პირობით, შეუძლებელი იქნება დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემა.

გზმ ანგარიშის ქვეთავი 6.7.1.2 ეკოლოგიური ხარჯების განსაზღვრის მეთოდოლოგია

6.7.1.2 ქვეთავში თავმოყრილია სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომიდან ამოკრეფილი განსაზღვრებები ეკოლოგიური ხარჯის განმარტებასთან, ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრის პრინციპებთან და ზოგადად ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრის მეთოდოლოგიებთან დაკავშირებით; გაურკვეველია, რა მიზანს ემსახურება ეს ქვეთავი და „ეკოლოგიური ხარჯის“ მოკლე სამეცნიერო მიმოხილვა, მაშინ როდესაც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ანგარიშის ავტორებს უკვე წინასწარ აქვთ განსაზღვრული ეკოლოგიური ხარჯის სიდიდე.

გზმ ანგარიშის ქვეთავი 6.7.2 ეკოლოგიური ხარჯების საჭიროება აჭარის მდინარეებში-ფაზა 1

ისევე როგორც წინა ქვეთავის შემთხვევაში, გაუგებარია, რა მიზანს ემსახურება ეს ქვეთავიც. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშის ავტორებს მოჰყავთ თარმის და კინგის (Tharme and King, 2008) განმარტება, რომლის მიხედვითაც „10% საშუალო წლიური ხარჯი წარმოადგენს მინიმალურ რეკომენდირებულ ხარჯს ჰაბიტატის მოკლევადიანი გადარჩენისთვის“, ანგარიშის ავტორებს მიაჩნიათ, რომ სწორედ ეს ხარჯი არის ის საბოლოო სიდიდე, რაც გამოყენებული უნდა იყოს წარმოდგენილ პროექტში; შემარბილებელი ღონისძიებების სახით კი, საკმარისად მიაჩნიათ მხოლოდ წყალუხვობის პერიოდში დაბალზღვრულიანი დამბებიდან გადადინებული წყალი. ეს წარმოადგენს არამართო საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ კანონის დარღვევას, არამედ ეწინააღმდეგება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკასაც; ასევე, ეწინააღმდეგება ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის მე-3 მუხლში მოცემულ პრინციპებს, კერძოდ: „საქმიანობის პოტენციური ეკოლოგიური საშიშროების რისკის შეფასება“ და „საქმიანობის დაწყებამდე გარემოზე მისი შესაძლო ზეგავლენის შეფასების კომპლექსურობა“.

გზმ ანგარიშის ქვეთავი 6.7.3 ნორვეგიის მაგალითი

ამ ქვეთავის თანახმად, „წელიწადში წყლის გამოშვების თვალსაზრისით, 10%-იანი საშუალო ყოველწლიური ხარჯი არის ნორვეგიის ამჟამინდელი მდგომარეობასთან შესაბამისი სტანდარტი. თუმცა ნორვეგიაში, როგორც წესი, გამოიყენება შეფასებაზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც ხშირ შემთხვევაში წარმოქმნის წლიური წყლის გამოშვების 10%-ს. ხშირ შემთხვევაში ზამთარში გამოიყენება საშუალო წლიური ხარჯის 4%, ხოლო ზაფხულსი 14%“.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ არ არის წარმოდგენილი წყაროები (ისევე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებდა ამ ქვეთავში მოცემულ ინფორმაციას; ამდენად, შეუძლებელია წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტეზე მსჯელობა. გაურკვეველია, რა მიზანს ისახავს საერთოდ წარმოდგენილი ქვეთავი: თუ ინფორმაცია წარმოდგენილია, ზოგადად, ცნობისთვის, მაშინ კარგი იქნებოდა ანგარიშის ავტორებს დაეკონკრეტებინათ ის პროექტები, სადაც რჩება საშუალო წლიური ხარჯის 4% ან 15%. შესაძლოა, ჩრდილოეთის რომელიმე მდინარის 4% აჭარისწყალის 100%-საც უდრიდეს. გაუგებარია, რა იგულისხმება შეფასებაზე დაფუძნებულ მიდგომაშიც. წარმოდგენილი გზმ ანგარიშის ძირითადი ნაკლოვანება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ეკოლოგიური ხარჯი განისაზღვრა შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენების გარეშე „საქართველოში მიღებული პრაქტიკის შესაბამისად“.

გზმ ანგარიშის ქვეთავი 6.7.4 ზემოქმედების შეფასება

ამ ქვეთავში შეფასებულია ეკოლოგიური ხარჯის, 10%-ის დატოვებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება და გაკეთებულია დასკვნა, რომ „მინიმალური 10%-იანი ეკოლოგიური ხარჯის გამოყენება გამოიწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას წყლის ბიომრავალფეროვნებაზე. ამიტომ ვაზა 2-ის დროს საჭიროა როგორც შეთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებების ჩატარება, ასევე დამატებითი ღონისძიებების შემუშავება, რომლების შესაძლოა საჭირო გახდეს ამა თუ იმ ეტაპზე“. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დასკვნა პირდაპირ ეწინააღმდეგება წინა თავებში გაკეთებულ დასკვნებს, ვინაიდან პროექტის განმახორციელებელი არ გეგმავს ეკოლოგიური ხარჯის გადახედვას; შესაბამისად, გაურკვეველია, რა დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები შეიძლება დადგინდეს იმ ზიანის მინიმიზაციისთვის, რაც მდინარეს მიაღებდა აღნიშნული მიდგომით.

გზმ ანგარიშის ქვეთავი 6.7.5 II ვაზა-მეთოდური მიდგომა

ამ თავში განხილულია მეზო-ჰაბიტატის მეთოდი, მენეჯმენტისა და მონიტორინგის პროგრამა და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის ივნისში ჩატარებული საჯარო განხილვების დროს წარმოდგენილი ანგარიში ითვალისწინებდა ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრას არა მეზო-ჰაბიტატის მეთოდის, არამედ ე.წ. BBM მეთოდოლოგიის გამოყენებით; შესაბამისად, გაურკვეველია, რა მიზეზით გადაწყვიტეს ანგარიშის ავტორებმა ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეცვლა. გარდა ამისა, იმ პირობებში, როდესაც წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროექტის განმახორციელებელი არ აპირებს ეკოლოგიური ხარჯის გადახედვას, არ არის ნათელი, რა აზრი აქვს თუნდაც აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენებას, თუ წინასწარვე ცნობილია ეკოლოგიური ხარჯის მნიშვნელობა.

6. არასათანადოდ შესწავლილი მნიშვნელოვანი საკითხები

გზმ ანგარიშის ხარვეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ზოგიერთი საკითხი არ არის სათანადოდ/ბოლომდე შესწავლილი. ამის გამო, გზმ ანგარიში არ მისცემს საშუალებას ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩამტარებელ ორგანოს, მართებულად შეაფასოს მიღებული საპროექტო გადაწყვეტა, მისი ეკოლოგიური უსაფრთხოების თვალსაზრისით; შეამოწმოს პროექტის შესაბამისობა კანონმდებლობასთან და შეზღუდვების მიღებულ სისტემასთან, შეადგინოს დასკვნა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში მიღებული ინფორმაციის უტყუარობისა და მის საფუძველზე მიღებული საპროექტო გადაწყვეტების მართებულობის შესახებ (როგორც ამას მოითხოვს „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი). ასეთ საკითხებს განეკუთვნება:

გზებისა და ხიდების მშენებლობა

ანგარიშის 3.4.1 ქვეთავის თანახმად, პროექტის განხორციელებისათვის დაგეგმილია 8 ახალი გზა საერთო სიგრძით 5.9 კმ და 4 ახალი პორტალური ტიპის ხიდი საერთო სიგრძით 213 მ. გარდა ამისა, ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალის ერთი მონაკვეთი დიდაჭარის კაშხალთან (დაახლოებით 2.5 კმ) მოხდება წყალსაცავის გავლენის ზონაში და საჭირო იქნება მისი ზედა ნიშნულზე გადატანა (მდ. აჭარისწყლისა და მდ. ღორჯომის შესართავთან) - საუბარია მდ. ღორჯომზე 113.39 მ სიგრძის და 7 მ სიგანის, სამმალიანი რკინა-ბეტონის ხიდის მშენებლობაზე. ანგარიშის მიხედვით, აღნიშნული გზის გარემოზე ზემოქმედების შეფასება წარმოადგენილი გზმ ანგარიშის განხილვის საგანს არ წარმოადგენს მისი წარდგენა მოხდება შემდგომ ეტაპზე. მიგვაჩნია, რომ **მსგავსი მიდგომა პრინციპულად არასწორია**,

ვინაიდან არსებული გზის გადატანა დაგეგმილია რთული რელიეფის ფერდობებზე, დაგეგმილი რეზერვუარის ზემოთ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მეწყერული პროცესების გაუარესება და კიბხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს რეზერვუარის არსებული საპროექტო გადაწყვეტა. მსგავსი მიდგომა წინააღმდეგობაში მოდის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის მოთხოვნებთანაც.

ჩვენის აზრით, გზისა და ხიდის პროექტების გზმ წინ უნდა უსწრებდეს ჰესის გზმ ანგარიშის დამტკიცებას, ვინაიდან დაგეგმილი ჰესის პროექტის უცილობელი წინაპირობაა გზისა და ხიდის აშენება. შესაძლებელია გზმ კვლევამ აჩვენოს, რომ არ არის შესაძლებელი ჰესის მიერ არსებული ხიდისა და საავტომობილო გზის ამგვარი ჩანაცვლება; მითუმეტეს, თავად განსახილველ გზმ ანგარიშში აღნიშნულია, რომ „საპროექტო გზის გაყვანა გათვალისწინებულია რთული რელიეფის ფერდობებზე. გზის საწყისი მონაკვეთი გაივლის შედარებით რბილ ქანებში, სადაც გამოხატულია მეწყერული პროცესების განვითარების გარკვეული რისკები“.

აღნიშნული ზემოქმედების რისკს ზრდის ისიც, რომ გზმ ანგარიში არ მოიცავს დეტალურ გეოლოგიურ შესწავლას. შესაბამისად, აუცილებელია, ჰესის პროექტის გზმ-ს ფარგლებში, მომზადდეს გზისა და სხვა დაგეგმილი ინფრასტრუქტურული ნაგებობების მოწყობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები და მოხდეს მათი წარდგენა სანებართვოდ.

გეოლოგიური რისკების შეფასება

ანგარიშიდან ჩანს, რომ კვლევა არასაკმარისად და არაერთგვაროვნადაა ჩატარებული. მაგალითად, 163-ე გვერდზე აღნიშნულია: „5.3.6.5. სხალთის გვირაბი“ სხალთა – დიდაჭარის გადამყვან გვირაბში არ ჩატარებულა არც აგეგმვითი და არც სიღრმული სამუშაოები.

გზმ ანგარიშის 6.9.4 თავის თანახმად, „გეომორფოლოგიური და მეწყერული საფრთხეების რუკები მომზადდა აეროფოტოსურათების ინტერპრეტაციის საფუძველზე, რომელიც ადგილზე შეივსო რეალური მონაცემებით და არ არის სრულმასშტაბიანი დეტალური საველე აგეგმვის შედეგი. აქედან გამომდინარე ორივე ეს რუკა გამოყენებულ უნდა იქნას დიდ ტერიტორიებზე მიწის ზედაპირის ზოგადი მდგომარეობის განსასაზღვრად. ნიადაგის დეტალური გამოკვლევები შესაძლებელია აუცილებელი გახდეს პატარა და სპეციფიური ტერიტორიების შესაფასებლად“. აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ წარმოდგენილი გზმ ანგარიში არ მოიცავს დეტალურ გეოლოგიურ შესწავლას, რის გამოც პროექტის განხორციელებამ, შესაძლებელია, გამოიწვიოს შეუქცევადი უარყოფითი ზემოქმედებები.

უფრო მეტიც, ამავე ანგარიშის 6.9.5 თავში ნათქვამია, რომ „ამ ანგარიშში მოყვანილი რიგი შეფასებები დაფუძნებულია გრუნტის გამოკვლევებიდან მიღებულ ინფორმაციაზე, პიროვნებები ვინც გამოიყენებს ან დაეყრდნობა ამ ანგარიშს უნდა გაითვალისწინონ, რომ მსგავსი გამოკვლევებით შესაძლებელია მხოლოდ ზედაპირქვეშა პირობების ფრაქციულობა“. ამავე ანგარიშის თანახმად, „გრუნტის მდგომარეობის განსხვავებული პირობები შეიძლება გამოვლინდეს სამშენებლო სამუშაოების პერიოდში“. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ანგარიში არ მოიცავს პროექტის დეტალურ გეოლოგიურ შესწავლას, რაც აუცილებელია პროექტის განხორციელებისათვის. ამან კი, შედეგად, შეიძლება გამოიწვიოს კატასტროფული შედეგები, რისი ნათელი მაგალითია ბახვი ჰესი. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი წარმოადგენს გზმ ანგარიშის მნიშვნელოვან ნაკლოვანებას და აუცილებელია დეტალური გეოლოგიური შესწავლის ჩატარება ნებართვის მიღებამდე. ამასთან, ეს წარმოადგენს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის დარღვევასაც.

7. ბიომრავალფეროვნების საკითხები

გზმ ანგარიშიდან ნათლად ჩანს, რომ პროექტს ექნება მნიშვნელოვანი ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე - ტყის ეკოსისტემებზე, იშვიათი და საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებზე და მათ ჰაბიტატებზე, იქთიოფაუნაზე. ანგარიშში აღნიშნულია, რომ „გარდა ცალკეული ჰესის ინფრასტრუქტურის ობიექტების ქვეშ მოქცეული ტერიტორიებისა პროექტის გავლენის ზონაში მოექცევა მდ. აჭარისწყლის ხეობა მდ. ლორჯომის შესართავიდან მდ. ჭოროხის შესართავამდე. გარდა ამისა პროექტი გავლენას მოახდენს მდ. მაჭახელას წყლის და მდ. აჭარის წყლის შემდეგი შენაკადების ხეობებზე: მდ. აკავრეთა, მდ. ჩირუხისწყალი, მდ. ჭვანისწყალი, მდ. სხალთა“.

აღნიშნულის ფონზე, ანგარიში შეიცავს მრავალ მნიშვნელოვან ხარვეზს:

- (1) ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხები არასაკმარისადაა დასაბუთებული, იურიდიული თვალსაზრისით;
- (2) ბიომრავალფეროვნების ცაკლულ კომპონენტთან დაკავშირებული მონაცემები არასაკმარისია, ვინაიდან თვალნათლივ ჩანს, რომ აქამდე ჩატარებული კვლევები საკმაოდ ხანმოკლე და მცირე მასშტაბის იყო;
- (3) არასაკმარისია შემოთავაზებული შემარბილებელი და ეკო-საკომპენსაციო ღონისძიებები; ეს უკანასკნელი სხვადასხვა თავში სხვადასხვა შინაარსითაა წარმოადგენილი.

(1) ანგარიშში (გვ. 94) აღნიშნულია, რომ „იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილი საპროექტო დერეფნის მშენებლობა დაკავშირებული იქნება ხე-ტყის ჭრასთან. აღნიშნული ქმედება არ წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის შემადგენელ ნაწილს, არამედ ეს ქმედება წარმოადგენს კლიენტის და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და გარემოს დაცვის სამინისტროს შორის შემდგომი ურთიერთობის საგანს, რომლის დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა შესაბამისი პროცედურა. გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის დამტკიცების შემდეგ უნდა დადგინდეს განსახორციელებელი სამუშაოების ნუსხა, მათ შორის მოსაჭრელი ხე-ტყის მოცულობა და ჩატარდეს შესაბამისი სახელმწიფო ტყის ფონდში შემავალი მონაკვეთის ტყის დეტალური ინვენტარიზაცია“.

გარდა იმისა, რომ ანგარიშში შეცდომითაა სამინისტროების დასახელებები, მტკიცება, რომ - დაგეგმილი საპროექტო დერეფნის მშენებლობისას ტყის ჭრის (და არა ხე-ტყის, როგორც ეს შეცდომით წერია გზმ-ში) ზეგავლენის საკითხები არ წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ნაწილს, მცდარია და ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

95-ე გვერდზე ციტირებულია „საქართველოს “წითელი ნუსხისა” და “წითელი წიგნის” შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლი, „წითელი ნუსხის“ სახეობების გარემოდან ამოღებასთან დაკავშირებით. ისმის კითხვა - წითელი ნუსხის სახეობების გარემოდან ამოღების ჩამოთვლილი შემთხვევებიდან, რომელს შეესაბამება ეს შემთხვევა? კერძო კომპანიის ფინანსური ინტერესი - ჰესის მშენებლობა არ განეკუთვნება „განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას“.

96-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ „სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების კატეგორიის შეცვლის წესი და პროცედურები ხორციელდებოდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2010 წლის 15 თებერვლის №5 ბრძანებით “სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებისათვის სპეციალური დანიშნულების კატეგორიის მინიჭების წესის შესახებ” დამტკიცებული წესის შესაბამისად. ამჟამად აღნიშნული ბრძანება გაუქმებულია და მასში მოცემული დებულებები ასახულია “საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებულ

“ტყით სარგებლობის წესში”, კერძოდ, მას დაემატა VI თავი “სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა”.

ზემოხსენებული მტკიცებები არასწორია იურიდიული თვალსაზრისით: აღნიშნული დებულება გულისხმობს, რომ თუ, მაგალითად, ჰიდროკვანძების, მილსადენების, გზების, კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი და ა.შ. მშენებლობისათვის საჭიროა ტყითსარგებლობის სახე - ტყის ჭრა, ეს შესაძლებელია. მაგრამ არ ნიშნავს, რომ ჰესის მშენებლობა არის ტყითსარგებლობის სახე. მითუმეტეს, არ ნიშნავს, რომ პირმა შეიძლება შეიძლება იხელმძღვანელოს ციტირებული მუხლით ტყის კატეგორიის შესაცვლელად.

იმავე, 96-ე გვერდზე აღნიშნულია სპეციალური ჭრების განხორციელების შემთხვევები, 30-დან 35 გრადუსამდე და 35 გრადუსისა და მეტი დაქანების ფერდობებზე; თუმცა, გაუგებარია, რატომ წარმოადგენს კერძო კომპანიის ინტერესები - ამ შემთხვევაში ჰესის მშენებლობა - „განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას.“ როგორც ცნობილია და აღვნიშნეთ კიდევ, ახლანდელი სამთავრობო პროგრამის მიხედვით, მთავრობის პრიორიტეტია სოფლის მეურნეობის განვითარება და გარემოს დაცვა, ხოლო ეს პროექტი ორივე ამ სახელმწიფო პრიორიტეტს ეწინააღმდეგება.

გზმ ანგარიშში მიმოხილულია ტყის ფონდის ამორიცხვის წესი, მაგრამ გაუგებარია რისთვის, ვინაიდან ანგარიშში არ არის იდენტიფიცირებული ფართობები, რომლის ამორიცხვასაც საჭიროებს პროექტი.

ამრიგად, გზმ ანგარიშში მოცემული ეს საკითხები იურიდიული თვალსაზრისით გაუმართავია.

(2) ჩატარებული ბოტანიკური და ფაუნისტური კვლევები არასაკმარისია და არ იძლევა სარწმუნო მონაცემებს. მაგალითად, აღნიშნულია, რომ იქთიოლოგიური კვლევის პერიოდი მოიცავდა 2011 წლის 25 აგვისტო – 3 სექტემბერს, ხოლო ხმელეთის ხერხემლიან ცხოველთა მდგომარეობის კვლევა ჩატარდა 2011 წლის მაისსა (25 მაისიდან 29 მაისის ჩათვლით) და სექტემბერში (8 სექტემბრიდან 12 სექტემბრის ჩათვლით). უხერხულმოებზე კვლევა საერთოდ არ ჩატარებულა.

კვლევის არასაკმარისობაზე მიუთითებს შემდეგი ფრაზები: „5.2.1.8. მშენებლობისა და ოპერირების ფაზის უარყოფითი ზემოქმედების შეფასების და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მეთოდოლოგია მშენებლობის დაწყებამდე სავალდებულოა კიდევ ერთხელ მშენებლობის წინა ბოტანიკური კვლევების ჩატარება, რომლის დროსაც დამატებით გამოვლინდება აღნიშნულ ტერიტორიებზე მაღალი საკონსერვაციო ღირებულების მქონე სახეობების პოპულაციები და არსებულ მასალებთან შეჯერებით დადგინდება პროექტის მშენებლობის უარყოფითი ზემოქმედება არსებული ტერიტორიების ფლორასა და მცენარეულობაზე, რომლის შემდეგაც მოხდება ნებისმიერი სახის საკონსერვაციო/აღდგენის და საკომპენსაციო ღონისძიებების საბოლოოდ იდენტიფიცირება და შესაბამისი ბიოაღდგენის სპეციფიკაციების და საკომპენსაციო გეგმების, აგრეთვე ბიომრავალფეროვნების ბოტანიკური კომპონენტის მონიტორინგის გეგმის შემუშავება. გარდა ამისა უნდა შემუშავდეს ფლორის იშვიათი სახეობების კონსერვაციის პროგრამაც. ამასთანავე, ფონური მდგომარეობის დაფიქსირება ხელს შეუწყობს მშენებლობის დასრულების შემდეგ პროექტის საკომპენსაციო ტერიტორიების აღდგენის და ბიომრავალფეროვნების ბოტანიკური კომპონენტის მონიტორინგის ჩატარებას.“ ასევე: „პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ენდემური, იშვიათი, გადაშენების წინაშე მდგომი და სხვა სახეობების პოპულაციების რაოდენობრივი და ხარისხობრივი იდენტიფიცირების შემდეგ უნდა შემუშავდეს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს იმ გადაშენების საფრთხეში მდგომი სახეობების პოპულაციების დაცვას, კონსერვაციასა და მდგრადობას, რომლებიც პროექტის მშენებლობის პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდებიან“.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ გზმ ანგარიშის წარმოდგენის შემდგომ პერიოდში, მიმდინარეობს ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე კვლევები, მონიტორინგის პროგრამის შედგენის მიზნით. მუშაობა დაკავშირებული კვლევები და შემარბილებელი ღონისძიებები ძალზე არასაკმარისია. ყოველივე აღნიშნული წარმოდგენს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევას, ვინაიდან შესაბამისი დებულების თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს „საქმიანობის განხორციელებისა და მიმდინარეობის ეტაპისათვის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმების შემუშავებას, სადაც გათვალისწინებული იქნება გარემოსდაცვითი უსაფრთხოების თვითმონიტორინგის პროგრამა“. ეს ხარვეზი კი წარმოდგენს უარყოფითი ეკოლოგიური დასკვნის გაცემის საფუძველს.

აღსანიშნავია, რომ იქთიოფაუნასთან დაკავშირებით, ანგარიშის სხვადასხვა ნაწილებში მოცემულია წინააღმდეგობრივი მონაცემები. **საბოლოო ჯამში იკვეთება, რომ დერივაციით, კაშხლებითა და დამბებით გამოწვეული ჰაბიტატის დეგრადაცია და ფრაგმენტაცია (10% ნაკადის დატოვების შემთხვევაში) გამოიწვევს ბიომრავალფეროვნების შეუქცევად დეგრადაციას.**

აქვე აღვნიშნავთ, რომ გაუგებარია, რატომაა ჩირუხისწყლის მარცხენა შენაკად მდ. დოლაბიდელებთან, სოფ. კარაპეტის ქვემოთ წარმოდგენილი კაკლიანი საშუალო საკონსერვაციო ღირებულების მქონე ჰაბიტატად, მაშინ როდესაც კაკალი „წითელი ნუსხის“ სახეობაა („წითელ ნუსხაში“ არ არის განსხვავება ხელოვნურ და ბუნებრივ ფორმას შორის).

(3) როგორც აღვნიშნეთ, გზმ ანგარიშის დასაწყის ნაწილში, განადგურებული ტყის კომპენსაციისათვის, შემოთავაზებულია ჰაბიტატ-ჰექტრის მიდგომა, ხოლო უფრო ქვემოთ (მაგალითად, გვ. 339) აღნიშნულია, რომ „უნდა მოხდეს ყველა სახეობის ხის დეტალური აღწერა და ერთი მოჭრილი ხის ნაცვლად უნდა დაირგოს ორი ამავე ჯიშის ხე“. ასეთი მიდგომა არ წარმოდგენს ჯეროვან კომპენსაციას.

არ არის საკმარისი წავთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებები, ვინაიდან საფრთხეების სახით აღნიშნულია მხოლოდ: „გადაადგილების ხელშემშლელი ფიზიკური ბარიერები, მდინარის ბინადრების შემცირებული რიცხვი, შემცირებული წყალდიდობები, წყლის ხარისხის ცვალებადობა, გაზრდილი ჩარევა“.

საფრთხედ არ არის განსაზღვრული ცხოველის შეთრევა დერივაციულ მიწებში ან მიწების ცხურებზე დაღუპვა. შემარბილებელი ღონისძიებების სახით, უნდა განისაზღვროს სადერივაციო გვირაბების მიმდებარე ტერიტორიის (დაახლოებით 300 მ) შემოღობვა სპეციალური ღობეებით და ამ სახეობასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები, რომლებსაც მიმართავენ ევროპულ ქვეყნებში ანალოგიური პროექტების დროს.

არასაკმარისადაა (მსუბუქად) შეფასებული დაცული ტერიტორიების სისტემაზე პროექტის ზეგავლენა.

პროექტის განხორციელების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ბუნებრივ და სოციალურ-კულტურულ გარემოზე ზეგავლენა იქნება იმდენად დიდი, რომ შემარბილებელი ღონისძიებების შესრულება არ იქნება საკმარისი. ამდენად დადგება ბიომრავალფეროვნებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საჭიროება. ჰესების მშენებლობისა და ოპერირების შედეგად ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ, biodiversity offset-ის სახით, უნდა მოხდეს არსებული დაცული ტერიტორიების გაზრდა (უპირველეს ყოვლისა მაჭახელის, რაც რამდენჯერმეა ნახსენები განსახილველ დოკუმენტებში), ისე ჩირუხისწყლის და სხვა პატარა მდინარეების ზედა დინებებში ახალი დაცული ტერიტორიების დაარსება და გაძლიერება. როგორც გზმ-შია აღნიშნული (გვ. 309, „6.5. ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება“), საქართველოს ეკისრება ვალდებულება, შეასრულოს „აიჩის ბიომრავალფეროვნების მიზნები“ (Aichi Biodiversity

Targets), რომელთაგან ერთ-ერთია 2020 წლამდე ქვეყნის დაცული ტერიტორიების ქსელის გაზრდა ქვეყნის ტერიტორიის 17%-მდე.

შესაძლებელია, კომპანიას, ბიომრავალფეროვნების „ოფსეტის“ სახით, დაეკისროს ვალდებულება, ჩამოაყალიბოს ბიომრავალფეროვნების კომპენსაციის ფონდი, რომელიც მოხმარდება დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოება-გადლიერებას აჭარაში, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგს, ამ საკითხებში მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას და სხვა კონსერვაციულ ქმედებებს. აღნიშნული მოთხოვნა აუცილებლად უნდა შევიდეს სანებართვო პირობებში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი დაკავშირებულია მდინარის ნატანთან. თურქეთსა და საქართველოში დაგეგმილი ყველა ჰესის პროექტის განხორციელების შემთხვევაში დაახლოებით 500 წლის განმავლობაში ვეღარ მოხდება მდინარის ნატანით ზღვის სანაპიროს შევსება, რასაც ძალზე მძიმე შედეგები მოყვება. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია შემარბილებელი ღონისძიებად განხილულ იქნეს პროექტის შედეგად (გვირაბების გაყვანა) დაგროვებული ინერტული მასალების განთავსება სანაპირო ზოლში. ასეთ შემთხვევაში, ფუჭი ქანების განთავსებისათვის განხილული სამი ალტერნატიული ვარიანტიდან, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ამ ალტერნატივას - „ალტერნატივა 2 - ტრანსპორტირება და საბოლოო განთავსება მდინარე ჭოროხის ზღვიურ შესართავთან, რაც შორ მანძილზე ტრანსპორტირების გამო დაკავშირებული იქნება დიდ დანახარჯებთან“; ეს ალტერნატივა შეესაბამება გარემოს დაცვის პრინციპებს, რომლის მიხედვითაც, უპირატესობა ენიჭება უფრო ძვირ, მაგრამ გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მისაღებ ალტერნატივას (კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“). ფუჭი ქანების განთავსების სხვა ვარიანტები უფრო მეტი ზეწოლის გამომწვევი იქნება გარემოზე. ფუჭი ქანების მოსახლეობის მიერ ან სხვა მშენებლობის დროს გამოყენება, არ არის რეალისტური, ვინაიდან ამ შემთხვევაში, ინვესტორი არ დაიწყებდა ლიცენზიანტებისგან ინერტული მასალების შესყიდვას.